ტესტი დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის
მათემატიკა

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი ორი ნაწილისგან შედგება - საგნობრივი ცოდნა და აკადემიური უნარები.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 53.

ტესტში წარმოდგენილი დავალებები, ფორმატის თვალსაზრისით, სხვადასხვაგვარია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

გაითვალისწინეთ:

- თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

საგნობრივი ცოდნა

(1) **1.** ავტობუსში რამდენიმე მგზავრი იყო. პირველი გაჩერების შემდეგ მგზავრების რაოდენობა გაორმაგდა, მეორე გაჩერების შემდეგ შემცირდა 8-ით, მესამე გაჩერების შემდეგ ისევ გაორმაგდა, ხოლო მეოთხე გაჩერების შემდეგ ისევ შემცირდა 8-ით. ამის შემდეგ ავტობუსში მგზავრი აღარ დარჩა. რამდენი მგზავრი ყოფილა ავტობუსში თავდაპირველად?

ა) 5

ბ) 6

გ) 7

დ) 8

(1) **2.** A აღნიშნავს 18-ის გამყოფთა სიმრავლეს, B – 36-ის გამყოფთა სიმრავლეს, ხოლო $A \cup B$ – ამ სიმრავლეთა გაერთიანებას. რამდენი წევრისგან შედგება $A \cup B$?

ა) 15

ბ) 13

გ) 11

დ) 9

(1) **3.** B წერტილი $A(3;\ -4)$ წერტილის სიმეტრიულია y ღერძის მიმართ, ხოლო C წერტილი B წერტილის სიმეტრიულია x ღერძის მიმართ. რის ტოლია C წერტილის კოორდინატების ჯამი?

ა) (-2)-ის;

ბ) (-1)-ის;

გ) 2-ის;

დ) 1-ის.

(1) **4.** a ისეთი ნატურალური რიცხვია, რომელიც 6-ის ჯერადია, ხოლო b ისეთი ლუწი ნატურალური რიცხვია, რომელიც <u>**არ არის**</u> 3-ის ჯერადი. ჩამოთვლილთაგან რომელი გამოსახულების მნიშვნელობაა 6-ის ჯერადი?

ა) $4(a+b)+3(2a+b)$

ბ) $3(2a+b)+4(a+3b)$

გ) $(2a+3b)+2(3a+2b)$

დ) $6(3a+b)+7(2a+b)$

(1) **5.** თუ a მეტია b-ზე 3-ჯერ, მაშინ $(5a - 7b)$ მეტია $(2a - b)$-ზე:

ა) 1,2-ჯერ;

ბ) 1,4-ჯერ;

გ) 1,6-ჯერ;

დ) 1,8-ჯერ.

(1) **6.** კუბის ზედაპირის ფართობია 24 სმ^2. ამ კუბის მოცულობაა:

ა) 8 სმ^3;

ბ) 12 სმ^3;

გ) 48 სმ^3;

დ) 64 სმ^3.

(1) **7.** რიცხვით ღერძზე a და b რიცხვების შესაბამის წერტილებს შორის მანძილი ტოლია 2 ერთეულის, ხოლო b და c რიცხვების შესაბამის წერტილებს შორის მანძილი ტოლია 4 ერთეულის. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი **<u>არ შეიძლება</u>** იყოს $a - c$?

ა) (-6)-ის;

ბ) (-4)-ის;

გ) (-2)-ის;

დ) 2-ის.

(1) **8.** ავტობუსში 40 ტურისტია, რომელთა 80% საუბრობს ინგლისურად, ხოლო 55% – ფრანგულად. ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი შეიძლება იყოს იმ ტურისტების რაოდენობა, რომლებიც საუბრობენ ინგლისურადაც და ფრანგულადაც?

ა) 12

ბ) 16

გ) 24

დ) 28

მონაცემთა ანალიზი

დიაგრამაზე მოცემულია, თუ რა რაოდენობის წყალი ჩაედინებოდა წყალსაცავში და რა რაოდენობის წყალი მიეწოდებოდა ამ წყალსაცავიდან მომხმარებელს ყოველდღიურად, 12 მაისიდან 18 მაისის ჩათვლით.



მომდევნო ორ შეკითხვას უპასუხეთ ამ დიაგრამის მიხედვით.

შეკითხვებზე გადასვლა: 9 10

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35

(1) **9.** რამდენი ათასი m^3-ით აღემატებოდა მომხმარებლისთვის 16-დან 18 მაისის ჩათვლით შუალედში მიწოდებული წყლის რაოდენობა 12-დან 14 მაისის ჩათვლით შუალედში მიწოდებული წყლის რაოდენობას?

ა) 2

ბ) 4

გ) 6

დ) 8

დიაგრამის ნახვა

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35

(1) **10.** რამდენი ათასი m^3 წყალი იყო წყალსაცავში 17 მაისის დღის ბოლოს, თუ 15 მაისის დღის ბოლოს წყლის რაოდენობა 18 ათასი m^3-ის ტოლი იყო?

ა) 14

ბ) 16

გ) 20

დ) 22

დიაგრამის ნახვა

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35

(1) **11.** ABC სამკუთხედში $|AB| = |BC|$, $|AC| < |AB|$. ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი შეიძლება იყოს ამ სამკუთხედის კუთხეთა სიდიდეები?

ა) $30°,\ 60°,\ 90°$;

ბ) $75°,\ 60°,\ 75°$;

გ) $50°,\ 50°,\ 80°$;

დ) $70°,\ 70°,\ 40°$.

(1) **12.** გვაქვს მხოლოდ თითო 3, 5, 7-კილოგრამიანი საწონები. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რამდენკილოგრამიანი ნივთის აწონას **ვერ შევძლებთ** თეფშებიან სასწორზე მხოლოდ ამ საწონების გამოყენებით?

ა) 1

ბ) 2

გ) 6

დ) 9

(1) **13.** სანდრო, ნიკა, გიორგი და ვაჟა ძმები არიან.

მოცემულია ორი დებულება:

I. ძმებიდან ერთი მაინც არის დაბადებული აპრილში.

II. ძმებიდან ერთი მაინც არ არის დაბადებული აპრილში.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია **შეუძლებელი**?*

ა) ორივე დებულება მცდარია;

ბ) ორივე დებულება ჭეშმარიტია;

გ) პირველი დებულება მცდარია, ხოლო მეორე – ჭეშმარიტი;

დ) პირველი დებულება ჭეშმარიტია, ხოლო მეორე – მცდარი.

(1) **14.** მოცემული სამი რიცხვიდან პირველი რიცხვი ტოლია მეორე რიცხვის $\frac{1}{2}$ ნაწილის, ხოლო მეორე რიცხვი – მესამე რიცხვის $\frac{1}{4}$ ნაწილის. ამ რიცხვების ჯამის რა ნაწილს შეადგენს მესამე რიცხვი?

ა) $\frac{8}{11}$

ბ) $\frac{11}{14}$

გ) $\frac{4}{7}$

დ) $\frac{5}{8}$

(1) **15.** კარიერიდან მადანს ერთნაირი მანქანებით ეზიდებიან. თითოეულ მანქანას დროის ტოლ შუალედებში ტოლი რაოდენობის მადანი გამოაქვს. 4 მანქანით 4 საათში კარიერიდან 400 ტონა მადანი გამოიტანეს. რამდენი მანქანაა საჭირო 6 საათში 600 ტონა მადნის გამოსატანად?

ა) 3

ბ) 4

გ) 5

დ) 6

(1) **16.** მოცემულია პრიზმა და პირამიდა. პრიზმის წახნაგების რაოდენობა 2-ჯერ მეტია პირამიდის წვეროების რაოდენობაზე. რამდენჯერ მეტია პრიზმის წიბოების რაოდენობა პირამიდის წიბოების რაოდენობაზე?

ა) 2-ჯერ;

ბ) 2,5-ჯერ;

გ) 3-ჯერ;

დ) 3,5-ჯერ.

(1) **17.** ტრაქტორისტმა პირველ დღეს მინდვრის ნახევარი მოხნა, მეორე დღეს – მინდვრის მესამედი, ხოლო მესამე დღეს – დარჩენილი 5 ჰექტარი. ჩამოთვლილთაგან რომელი გამოსახულება გვიჩვენებს, თუ რამდენი ჰექტარის ტოლი იყო მინდვრის ფართობი?

ა) $\frac{1}{2}+\frac{1}{3}+5$

ბ) $5+1:\left(\frac{1}{2}+\frac{1}{3}\right)$

გ) $5+1:\left(\frac{1}{2}-\frac{1}{3}\right)$

დ) $5:\left(1-\frac{1}{2}-\frac{1}{3}\right)$

(1) **18.** m და n ნატურალური რიცხვებია. მოცემულია 3 უტოლობა:

(1) $\frac{1}{n} > \frac{1}{m} - \frac{1}{10}$; **(2)** $\frac{1}{n} > \frac{1}{m} + \frac{1}{10}$; **(3)** $m > n$.

ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული?

ა) თუ **(3)**, მაშინ **(1)**;

ბ) თუ **(3)**, მაშინ **(2)**;

გ) თუ **(1)**, მაშინ **(2)**;

დ) თუ **(1)**, მაშინ **(3)**.

(1) **19.** *A* და *B* პუნქტები ერთმანეთთან დაკავშირებულია სწორხაზოვანი გზით. ამ გზაზე მდებარე *C* პუნქტიდან ერთდროულად გავიდა ორი ავტომობილი, რომელთაგან პირველმა თანაბარი სიჩქარით იმოძრავა *A* პუნქტამდე, მეორემ – *B* პუნქტამდე. დიაგრამაზე მოცემულია, თუ როგორ იცვლებოდა ავტომობილებს შორის მანძილი მოძრაობის დაწყებიდან გასული დროის განმავლობაში.



რის ტოლია უფრო სწრაფად მოძრავი ავტომობილის სიჩქარე?

ა) 50 კმ/სთ-ის;

ბ) 55 კმ/სთ-ის;

გ) 60 კმ/სთ-ის;

დ) 65 კმ/სთ-ის.

მონაცემთა საკმარისობა

(1) **20.** რიცხვი x არაა ტოლი არც 0-ის და არც (-2)-ის.

მოცემულია ორი პირობა:

I. $x > 1$.

II. $x < 2$.

იმის გასარკვევად, რომელია მეტი $\frac{1}{x}$ თუ $\frac{1}{x+2}$:

ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა;

ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა;

გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი;

დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა;

ე) მოცემული პირობები ერთად აღებულიც კი არ არის საკმარისი.

(1) **21.** მართკუთხედის ფორმის მიწის ნაკვეთის სიგრძე 200 მეტრით მეტია მის სიგანეზე.

მოცემულია ორი პირობა:

I. შალვამ ერთი და იმავე სიჩქარით მოძრაობისას ამ ნაკვეთის სიგრძის გავლას 9 წუთი მოანდომა, ხოლო სიგანის გავლას – 6 წუთი.

II. სანდრომ ერთი და იმავე სიჩქარით მოძრაობისას ამ ნაკვეთის სიგრძის გავლას სიგანესთან შედარებით 1,5-ჯერ მეტი დრო მოანდომა.

იმის გასარკვევად, რის ტოლია ნაკვეთის ფართობი:

ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა;

ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა;

გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი;

დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა;

ე) მოცემული პირობები ერთად აღებულიც კი არ არის საკმარისი.

(1) **22.** წრიულ დიაგრამაზე მითითებულია, ქვეყანაში შემოსვლისას ტურისტთა რამდენმა პროცენტმა ისარგებლა რკინიგზით და რამდენმა – საჰაერო ტრანსპორტით.



მოცემულია ორი პირობა:

I. იმ ტურისტთა რაოდენობა, რომლებმაც ქვეყანაში შემოსვლისას ისარგებლეს ავტოტრანსპორტით, 3-ჯერ აღემატებოდა იმ ტურისტთა რაოდენობას, რომლებმაც ქვეყანაში შემოსვლისას ისარგებლეს საჰაერო ტრანსპორტით.

II. იმ ტურისტთა რაოდენობა, რომლებმაც ქვეყანაში შემოსვლისას ისარგებლეს ავტოტრანსპორტით, 650 ათასით აღემატებოდა იმ ტურისტთა რაოდენობას, რომლებმაც ქვეყანაში შემოსვლისას ისარგებლეს საჰაერო ტრანსპორტით.

იმის გასარკვევად, ქვეყანაში შემოსვლისას რამდენმა ტურისტმა ისარგებლა რკინიგზით:

ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა;

ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა;

გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი;

დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა;

ე) მოცემული პირობები ერთად აღებულიც კი არ არის საკმარისი.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35

(1) **23.** მოცემულია **ტოლფერდა** სამკუთხედი და მის შესახებ ორი პირობა:

I. სამკუთხედის ერთი გვერდის სიგრძე მეორე გვერდის სიგრძეზე 6 სმ-ით მეტია;
II. სამკუთხედის პერიმეტრი 30 სმ-ის ტოლია.

იმის გასარკვევად, რის ტოლია სამკუთხედის გვერდების სიგრძეები:

ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა;
ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა;
გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი;
დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა;
ე) მოცემული პირობები ერთად აღებულიც კი არ არის საკმარისი.

(1) **24.** m ოთხი მარტივი რიცხვის ნამრავლის ტოლია.

მოცემულია ორი პირობა:

I. m უნაშთოდ იყოფა 12-ზე.

II. m უნაშთოდ იყოფა 15-ზე.

იმის გასარკვევად, რის ტოლია m :

ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა;

ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა;

გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი;

დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა;

ე) მოცემული პირობები ერთად აღებულიც კი არ არის საკმარისი.

(3) **25.** საწარმოს ხელმძღვანელმა თავის პირველ, მეორე და მესამე მოადგილეს საპრემიო თანხა, შესაბამისად, $10:7:3$ შეფარდებით გაუნაწილა. თუ იგი იმავე საპრემიო თანხას თავის მოადგილეებს, შესაბამისად, $5:3:2$ შეფარდებით გაუნაწილებდა, მაშინ ერთ-ერთ მოადგილეს 500 ლარით მეტი შეხვდებოდა. სულ რამდენი ლარის ტოლი იყო საპრემიო თანხა?

პასუხი დაასაბუთეთ.

(3) **26.** მართკუთხა საკოორდინატო სიბრტყეზე მოცემული ABE და CDE სამკუთხედების A, B, C და D წვეროების კოორდინატები მთელი რიცხვებია, ხოლო E წვეროს კოორდინატებია (3,4; 1,2) (იხ. ნახაზი). რამდენჯერ ნაკლებია ABE სამკუთხედის ფართობი CDE სამკუთხედის ფართობზე?



პასუხი დაასაბუთეთ.

(3) **27.** ხორბალი გადასატანად რამდენიმე ლურჯ და რამდენიმე მწვანე კონტეინერში გადაანაწილეს. ხორბლის ნახევრის ლურჯ კონტეინერებში გადანაწილების შემდეგ თითო ლურჯ კონტეინერში აღმოჩნდა 6 ტონა ხორბალი, ხოლო დარჩენილი ნახევრის მწვანე კონტეინერებში გადანაწილების შემდეგ თითო მწვანე კონტეინერში – 4 ტონა. რამდენი ტონა ხორბალი აღმოჩნდებოდა თითო კონტეინერში, თუ გადასატან ხორბალს ამ კონტეინერებში თანაბრად გადაანაწილებდნენ?

პასუხი დაასაბუთეთ.

(3) **28.** ტურისტულ ჯგუფში მხოლოდ ჩინელი და კორეელი ტურისტები არიან, სულ – 12 ტურისტი. ჩინელი ტურისტების საშუალო ასაკი მეტია 48 წელზე, კორელეებისა – 21 წელზე, ხოლო ყველა ტურისტის საშუალო ასაკი ნაკლებია 32 წელზე. ამ ტურისტებიდან **მინიმუმ** რამდენია კორეელი?

პასუხი დაასაბუთეთ.

(3) **29.** მოსწავლეებს შემდეგი სამუშაო შესთავაზეს:

1) გამოთვალეთ: I. $68 + 21 + 9$ II. $94 - 27 - 7$

2) ათწილადის გამოყენებით ჩაწერეთ:

I. რამდენი სანტიმეტრია 3 სმ და 7 მმ;

II. რამდენი ტონაა 5 ტ და 30 კგ;

III. რამდენი წუთია 4 წთ და 12 წმ.

3) დედამ კანფეტების რაოდენობის ნახევარი და კიდევ ერთი კანფეტი მისცა ანას, დარჩენილი 7 კანფეტი კი – სალომეს. სულ რამდენი კანფეტი ჰქონდა დედას?

4) აუზთან ორი მილია შეერთებული. პირველი მილით ცარიელი აუზი ივსება 6 საათში, ხოლო მეორე მილით სავსე აუზი იცლება 2 საათში. რამდენ საათში დაიცლება სავსე აუზი, თუ ორივე მილს ერთდროულად გავხსნით?

5) მართკუთხედი დაყოფილია 4 კვადრატად ისე, როგორც ეს ნახაზზეა მოცემული. დაყოფის შედეგად მიღებული თითოეული პატარა კვადრატის პერიმეტრია 8 სმ. რის ტოლია მთლიანი მართკუთხედის პერიმეტრი?

მომდევნო გვერდზე მოცემულია ერთ-ერთი მოსწავლის ნამუშევარი:

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35

1) I. $68 + 21 + 9 = 68 + (21 + 9) = 68 + 30 = 98$

II. $94 - 27 - 7 = 94 - (27 - 7) = 94 - 20 = 74$

2) I. 3,7 სმ II. 5,30 ტ III. 4,12 წთ

3) დედას ჰქონდა $2 \cdot (7 - 1) = 12$ კანფეტი.

4) 6 საათში პირველი მილით ცარიელი აუზი აივსება ერთხელ, მეორე მილით კი სავსე აუზი დაიცლება 3-ჯერ. ამიტომ ორივე მილის გახსნის შემთხვევაში სავსე აუზი დაიცლება $\frac{6}{3+1} = \frac{6}{4} = 1{,}5$ სთ-ში ანუ 1 სთ-სა და 30 წუთში.

5) $8 : 4 = 2$ სმ, სიგრძეში 5 პატარა კვადრატი ჩაეტევა, სიგანეში – 2 პატარა კვადრატი, პერიმეტრია $2 \cdot (5 + 2) = 14$ სმ.

- მიუთითეთ მოსწავლის მიერ დაშვებული თითოეული შეცდომა და ჩაწერეთ შესწორებული სახით.

აკადემიური უნარები

წაკითხულის გააზრება

ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ მასზე პასუხის გასაცემად შესაძლებელია დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.

I უთანასწორობა განათლებაში გულისხმობს იმ განსხვავებებს, რომლებიც არსებობს სხვადასხვა ჯგუფს შორის საგანმანათლებლო შესაძლებლობების, რესურსებისა და, შესაბამისად, შედეგების მხრივ. უთანასწორობა შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა მიმართულებით, რაც დამოკიდებულია ეკონომიკურ, სოციალურ, გენდერულ, ეთნიკურ თუ სხვა ფაქტორებზე. მაგალითად, დაბალშემოსავლიანი ოჯახების ბავშვებს ხშირად ნაკლები შესაძლებლობები აქვთ განათლებისთვის, როგორებიცაა: კარგი სკოლების, მასწავლებლების, ტექნოლოგიებისა და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა. ამის გამო მათ შეიძლება გაუჭირდეთ წარმატების მიღწევა. ასევე, ზოგიერთ კულტურაში გოგონებს განათლების მიღების შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ, რასაც განაპირობებს კონსერვატიული მოლოდინები და სტერეოტიპული რწმენა ქალის როლთან დაკავშირებით საზოგადოებაში.

II განათლების უთანასწორობა უშუალოდაა დაკავშირებული ადამიანური კაპიტალის ინდექსთან. ეს უკანასკნელი არის მაჩვენებელი, რომელიც ასახავს ქვეყნის მოსახლეობის განათლებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის ხარისხის შეფასებას. თუ ქვეყნის მოსახლეობა ხარისხიან განათლებასა და ჯანმრთელობის სერვისს იღებს, მისი ,,ადამიანური კაპიტალი“ მაღალია, რაც ნიშნავს, რომ ამ ქვეყნის მოქალაქეებს შესაძლებლობების რეალიზაციისთვის კარგი პირობები აქვთ, ეს კი, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკის სიძლიერეს განაპირობებს.

III არსებობს რწმენა, რომ თუ საკმარისად იშრომებ, აუცილებლად მიაღწევ ყველა მიზანს. მიღწევა არის უნარების, მოტივაციისა და შრომის შედეგი და, შესაბამისად, სოციალური წარმომავლობისაგან დამოუკიდებელი. თუმცა, ბავშვები დაბალი სოციოეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახებიდან ხშირად უთანასწორო პირობების გამო ვერ ავლენენ თავიანთ შესაძლებლობებს. დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახები ბავშვების განათლებაში ხშირად ვერ დებენ მაღალ ინვესტიციას, რაც განაპირობებს დაბალი ხარისხის განათლებას და, შესაბამისად, ამ მოსწავლეების მცირე შესაძლებლობებს სამუშაო ბაზარზე. ეს ქმნის უთანასწორობას, რომელიც ჩაკეტილ წრედ აქცევს სოციოეკონომიკურად დასუსტებულ ჯგუფებს, რადგან მათ უფრო ნაკლები შანსი აქვთ, განათლების მაღალი დონე ჰქონდეთ.

შეკითხვებზე გადასვლა: 30 31 32 33 34

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35

IV განათლების უთანასწორობის საკითხით დაინტერესებულმა ფრანგმა მკვლევარმა სებასტიენ გუდომ განსხვავებულ ასპექტზე გაამახვილა ყურადღება. მისი კვლევის შედეგების მიხედვით, უთანასწორობა ადრეული ასაკიდან იწყება. სოციალური კლასი გავლენას ახდენს იმაზე, თუ რა წვლილი შეაქვს ბავშვს გაკვეთილის მსვლელობის დროს, ასევე, იმაზეც, თუ როგორ აფასებენ ბავშვები საკუთარ თავს და სხვებს. აღმოჩნდა, რომ ბავშვები დაბალი სოციალური კლასის ოჯახებიდან ნაკლებად არიან ჩართულები ჯგუფურ დისკუსიებში, ვიდრე მათი თანატოლები, რომლებიც შედარებით მაღალი სოციალური კლასიდან არიან. მნიშვნელოვანია, რომ ეს მოცემულობა არ აიხსნება ბავშვებს შორის ენობრივი კომპეტენციის ან თვითგამოხატვის უნარის დეფიციტით. ის ნორმები, რომლებიც დაბალი სოციალური კლასის ოჯახებისთვის ჩვეულია, ეწინააღმდეგება იმ ნორმებს, რომლებიც სკოლაშია გავრცელებული. მათი თვითგამოხატვის ფორმები და კულტურული გამოცდილებები ნაკლებად არის დაფასებული საკლასო ოთახში. ბავშვები ადარებენ საკუთარ თავს სხვებს, აღმოაჩენენ განსხვავებებს, სახლსა და სკოლას შორის კულტურულ შეუსაბამობებს, მათ მიმართ უარყოფით მოლოდინებს, რაც აძლიერებს სხვების მხრიდან განსჯის შიშს და, შესაბამისად, თავს არიდებენ თვითგამოხატვას.

V უთანასწორო სასწავლო გარემო, რომელიც განათლების ადრეულ ეტაპზე იქმნება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია მიღწევათა სხვაობებისთვის მთელი საგანმანათლებლო პროცესის განმავლობაში.

შეკითხვებზე გადასვლა: 30 31 32 33 34

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35

(1) **30.** განათლებაში უთანასწორობის რომელი ორი მიზეზის ილუსტრაციაა პირველ აბზაცში მოცემული მაგალითები?

ა) ეკონომიკურის და ეთნიკურის;

ბ) ეთნიკურის და გენდერულის;

გ) ეკონომიკურის და გენდერულის;

დ) სოციალურის და ეთნიკურის.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35

(1) **31.** ჩამოთვლილთაგან რომელშია მართებულად წარმოდგენილი კავშირი განათლების უთანასწორობასა და ადამიანური კაპიტალის ინდექსს შორის?

ა) მაღალშემოსავლიან ქვეყნებს ერთმნიშვნელოვნად ხელმისაწვდომი განათლება და ადამიანური კაპიტალის მაღალი ინდექსი აქვთ;

ბ) თუკი ქვეყანას ადამიანური კაპიტალის მაღალი ინდექსი აქვს, ეს ნიშნავს, რომ არ არსებობს ამ ქვეყანაში ადამიანი, რომელმაც დაბალი ხარისხის განათლება მიიღო;

გ) ადამიანების დაბალი ხარისხის განათლებას სიღარიბე განაპირობებს, თუმცა შესაძლებელია ამ მიზეზის კომპენსაცია ხარისხიანი ჯანდაცვით, შესაბამისად, ადამიანური კაპიტალი არ დაზარალდება;

დ) თუკი ადამიანებს განსხვავებული პირობები აქვთ განათლების მიღებისას, მათი შესაძლებლობები ნაკლებად განვითარდება და, შესაბამისად, ქვეყანაში ადამიანური კაპიტალი დაზარალდება.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35

(1) **32.** ტექსტის მესამე აბზაცში ვკითხულობთ: ,,მიღწევა არის უნარების, მოტივაციის და შრომის შედეგი.“ ჩამოთვლილთაგან რომელი **აყენებს ეჭვქვეშ** ამ მოსაზრებას?

ა) მოსწავლეები, რომლებიც სისტემატურად აცდენენ სკოლას, ვერ აღწევენ აკადემიურ წარმატებას;

ბ) მოსწავლეთა უმეტესობას, რომელთა მშობლიური ენა არ ემთხვევა სკოლის სწავლების ენას, არ აქვს მაღალი აკადემიური მოსწრება;

გ) მოსწავლეები, რომლებსაც არ აქვთ დავალებების სისტემატურად შესრულების ჩვევა ჩამოყალიბებული, ვერ აღწევენ აკადემიურ წარმატებას;

დ) მოსწავლეთა უმეტესობა, რომელთაც არ აქვთ მოთმინების უნარი სათანადოდ განვითარებული, ვერ აღწევს აკადემიურ წარმატებას.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35

(1) **33.** ტექსტის მეოთხე აბზაცში წარმოდგენილია კვლევის შედეგები. ჩამოთვლილთაგან რომელია ამ შედეგებზე დაყრდნობით გამოტანილი მართებული დასკვნა?

ა) სასწავლო გარემოში საკუთარი განსხვავებულობის აღქმა და მხარდაჭერის ნაკლებობა უარყოფითად აისახება ბავშვების თვითშეფასებაზე, რაც ბარიერს წარმოადგენს მათი შესაძლებლობების რეალიზებისთვის;

ბ) ენობრივი კომპეტენციისა და თვითგამოხატვის უნარის მიხედვით ბავშვებს შორის არსებული განსხვავებები განაპირობებს სასწავლო აქტივობებში მათი ჩართულობის ხარისხს, რაც, შესაბამისად, ბარიერს ქმნის განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით;

გ) სოციალური კლასის მიხედვით ბავშვებს შორის განსხვავებები მათი კულტურული გამოცდილების ნაირგვარობით აიხსნება, რაც უთანასწორო სასწავლო გარემოს ქმნის;

დ) სასწავლო გარემოსთან ბავშვების ადაპტაციისთვის მათი თვითშეფასება ბარიერი ვერ იქნება, სკოლაში უთანასწორო საგანმანათლებლო გარემოს ყველა ბავშვისთვის დადგენილი ერთნაირი ნორმები ქმნის.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35

(1) **34.** ჩამოთვლილთაგან რომელი **<u>არ არის</u>** მოცემული ტექსტის მიზანი?

ა) გაგვაცნოს განათლების უთანასწორობის გამომწვევი სხვადასხვა მიზეზი;

ბ) გამოკვეთოს განათლებაში უთანასწორობასა და ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს შორის კავშირის მნიშვნელობა;

გ) ახსნას, თუ როგორ, რა გზით ახდენს გავლენას ესა თუ ის ფაქტორი განათლების უთანასწორობაზე;

დ) თანამედროვე კვლევის შედეგებზე დაყრდნობით დასახოს განათლების უთანასწორობის აღმოფხვრის გზები.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35

(9) **35. ანალიტიკური წერა**

ყურადღებით გაეცანით დავალებაში მოცემულ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებას. გააკეთეთ არჩევანი ერთ-ერთის სასარგებლოდ. მოიყვანეთ არგუმენტები თქვენი არჩევანის დასასაბუთებლად და კრიტიკულად შეაფასეთ საკითხის გადაჭრის მეორე შესაძლო გზა.

ა) ბავშვს სკოლაში მეტი თავისუფლება და ავტონომია უნდა მივცეთ, რათა განვითარდეს დამოუკიდებელ და მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებად.

ბ) სკოლაში ბავშვის თავისუფლების ხარისხი მკაცრად უნდა გაკონტროლდეს, რადგან იგი სრულად ვერ იაზრებს საკუთარი მოქმედებების შედეგებს და ამით ვნებს საკუთარ თავსაც და სხვასაც.

თხზულება უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 120 სიტყვას.